საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-06/1481-14
21.05.2014

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 154
თარიღი: 22 05 2014 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)
დირექტორს, ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 14 მაისის N322 წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ და გაცნობებთ, რომ კომერციული ბანკებისაგან სესხის აღებისა და თანხის მათთვის უკან სესხების მექანიზმი განსაზღვრულია შემდეგ სამართლებრივ აქტებში:

- „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების , მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულება;[1]
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის ერთობლივი ბრძანება №10/01–№51 „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;[2]

ასევე, დანართის სახით გიგზავნით:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 7 თებერვლის N 07-01/7987 შეტყობინებას სახაზინო ობლიგაციების ემისიის პარამეტრების შესახებ (დანართი 1);
- საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის 7 თებერვლის შეტყობინება N6 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის ჩატარების შესახებ (დანართი 2);

[1] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2250096&lang=ge
[2] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1135100

0114 / თბილისი/ სანაპიროს 2 / ტელ: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail : info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

- საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის 12 თებერვლის N2-04/519-14 წერილი სახაზინო ობლიგაციის აუქციონის შედეგის თაობაზე (დანართი 3);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 თებერვლის N 07-01/12848 შეტყობინებას სახაზინო ობლიგაციების ემისიის პარამეტრების შესახებ (დანართი 4);
- საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის 28 თებერვლის შეტყობინება N8 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის ჩატარების შესახებ (დანართი 5);
- საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის 5 მარტის N2-04/685-14 წერილი სახაზინო ობლიგაციის აუქციონის შედეგის თაობაზე (დანართი 6);

თქვენ მიერ წერილში დასმული სხვა საკითხები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მნიშვნელობით, შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

დანართი: 14 ფურცელი;

პატივისცემით,

ნათია გვაზავა

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

დანართი 1

N 07-01/7987
07/02/2014

7987-07-01-2-201402071817

საქართველოს ეროვნული ბანკი

გიგზავნით შეტყობინებას 2014 წლის 12 თებერვლის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე განსათავსებელი სახაზინო ობლიგაციების ემისიის პარამეტრების შესახებ.

დანართი: „1" ფურცელი.

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2[illegible] info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს ეროვნულ ბანკს

შეტყობინება N6

"საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 2013 წლის 11 დეკემბრის N1726 საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N10/01-N51 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების" საფუძველზე, გთხოვთ, უზრუნველყოთ სახაზინო ობლიგაციების ემისია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე შემდეგი პირობებით:

- აუქციონის თარიღი - 2014 წლის 12 თებერვალი;
- ემისიის რეგისტრაციის ნომერი - GETC16213067;
- სახაზინო ობლიგაციების რაოდენობა - 75,000 ცალი;
- მთლიანი ემისიის მოცულობა - 75,000,000.00 (სამოცდათხუთმეტი მილიონი ლარი);

  მათ შორის:
- ძირითადი ემისიის მოცულობა - 25,000,000.00 (ოცდახუთი მილიონი ლარი);
- „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულების შესაბამისად გამოსაშვები სახაზინო ობლიგაციების ემისიის მოცულობა - 50,000,000.00 (ორმოცდაათი მილიონი ლარი);
- ანგარიშსწორების თარიღი - 2014 წლის 13 თებერვალი;
- დაფარვის თარიღი - 2016 წლის 13 თებერვალი;
- კუპონის გადახდის თარიღები - 2014 წლის 13 აგვისტო, 2015 წლის 13 თებერვალი, 2015 წლის 13 აგვისტო, 2016 წლის 13 თებერვალი.

დავით ლეჟავა
ფინანსთა მინისტრის მოადგილე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
204862078

დანართი 2

საქართველოს ეროვნული ბანკის

შეტყობინება N6

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო ობლიგაციის აუქციონის ჩატარების შესახებ

7 თებერვალი 2014 წელი

2014 წლის 12 თებერვალს შედგება სახაზინო ობლიგაციების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 75,000,000 (სამოცდათხუთმეტი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების 75,000 ცალი სახაზინო ობლიგაცია, მათ შორის:

- ძირითადი ემისიის მოცულობა - 25,000,000 (ოცდახუთი მილიონი ლარი);
- დამატებითი ემისიის მოცულობა - 50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი ლარი), „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N 176 განკარგულების შესაბამისად;

ემისიის რეგისტრაციის ნომერია GETC16213067.

სახაზინო ობლიგაციების ვადიანობა შეადგენს 730 დღეს, დაფარვა განხორციელდება 2016 წლის 13 თებერვალს.

ობლიგაციის კუპონის გადახდა განხორციელდება შემდეგ თარიღებში:
2014 წლის 13 აგვისტო;
2015 წლის 13 თებერვალი;
2015 წლის 13 აგვისტო;
2016 წლის 13 თებერვალი;

აუქციონზე კომერციულმა ბანკებმა ელექტრონული განაცხადი უნდა წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს 2014 წლის 12 თებერვალს 11:45 საათიდან 12:00 საათამდე, ბლუმბერგის სისტემის მეშვეობით.

სახაზინო ობლიგაციების ანგარიშსწორება განხორციელდება 2014 წლის 13 თებერვალს.

აუქციონში მონაწილე პირებს შეუძლიათ გააკეთონ კონკურენტული და არა–კონკურენტული განაცხადები:

- კონკურენტული განაცხადის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.
- არაკონკურენტული განაცხადის მაქსიმალური ოდენობაა 20 000 (ოცი ათასი) ლარი.
- „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N 176 განკარგულებით შესაბამისად გამოსაშვები სახაზინო ობლიგაციების თითოეული ბანკის არაკონკურენტული განაცხადის მაქსიმალური ოდენობა

არ უნდა აღემატებოდეს ამავე განკარგულებით თითოეული ბანკის მიმართ დადგენილ ლიმიტებს.

აუქციონის შედეგები გამოქვეყნდება ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდებზე არაუგვიანეს 18:00 საათისა.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები გაცნობილი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ„ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას.

საბაზრო ოპერაციების ჯგუფი

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

სანაპიროს ქ. 2, თბილისი, 0114
☎: 2-406-268 / 269 / 272 / 274 / 275

National Bank of Georgia

Announcement N6

Regarding the Auction of Treasury Notes of Ministry of Finance of Georgia

February 7, 2014

The Treasury Notes Auction will be held on February 12, 2014. 75,000 Treasury Notes with a total face value of GEL 75,000,000 (seventy five million) will be sold at the auction, in which:

- Main issue volume equals to – GEL 25,000,000 (Twenty five million);
- Additional issue volume equals to – GEL 50,000,000 (Fifty million), in accordance to Decree #176 of Government of Georgia "On the Issue, Circulation, Registration and Redemption of Government Securities as to provide the economy with efficient facility to obtain long term resources" dated February 07, 2014;

The issue ISIN is GETC16213067.

The maturity of the Treasury Notes is 730 days with a maturity date of February 13, 2016.

The coupon payment dates are as follows:
August 13, 2014
February 13, 2015
August 13, 2015
February 13, 2016

At the Auction, the Commercial Banks should submit bids to the National Bank of Georgia through Bloomberg trading system on February 12, 2014, from 11:45 to 12:00.

Settlements will be held on February 13, 2014.

The auction participants may submit competitive and non-competitive bids:

- The minimum bid amount for competitive bids is GEL 50,000 (fifty thousand).
- The maximum amount of non-competitive bids is GEL 20,000 (twenty thousand).
- In accordance to Decree #176 of Government of Georgia, dated February 07, 2014 "On the Issue, Circulation, Registration and Redemption of Government Securities as to provide the economy with efficient facility to obtain long term resources", non-competitive bids of each commercial bank should not exceed limits established for each commercial bank in mentioned Decree.

The auction results will be published on web-sites of the National Bank of Georgia and the Ministry of Finance of Georgia, no later than 18:00 of the auction day.

The auction participants must be familiar with and accept the terms and conditions of the "Regulation On the Issue, Circulation, Registration and Redemption of Treasury Bills and Treasury Notes Issued by the Ministry of Finance of Georgia" and confess mandatory execution of this regulation.

Market Operations Group

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2, Sanapiro str., Tbilisi, 0114
☎: 2-406-268 / 269 / 272 / 274 / 275

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-04/519-14
12.02.2014

დანართი 3

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

სახაზინო ობლიგაციის
აუქციონის შედეგის თაობაზე

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ, 2014 წლის 12 თებერვალს ჩატარებული სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგებს, მათ შორის „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულების შესაბამისად გაყიდული სახაზინო ობლიგაციების შესახებ.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ლალიაშვილი

ფინანსური ბაზრების
დეპარტამენტის უფროსი

0114 / თბილისი/ სანაპიროს 2 / ტელ: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail : info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

2 წლიანი სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

ემისიის რეგისტრაციის ნომერი	GETC16213067
კუპონის განაკვეთი	*6.8*
ემისია	პირველადი
აუქციონის თარიღი	12/02/2014
დაფარვის თარიღი	13/02/2016
ემისიის მოცულობა	75,000,000 ლარი
მთლიანი მოთხოვნა	67,567,000 ლარი
მათ შორის კლიენტების	0 ლარი
მთლიანი განაცხადების რაოდენობა	25
მათ შორის კლიენტების	0
მონაწილე ბანკების რაოდენობა	12
გამარჯვებული ბანკების რაოდენობა	0
შესყიდული კონკურენტული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა	23 450
მათ შორის კლიენტების მიერ შესყიდულის	0
გამარჯვებული კონკურენტული განაცხადების რაოდენობა	13
მათ შორის კლიენტების	0
შესყიდული არაკონკურენტული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა	43917
გამარჯვებული არაკონკურენტული განაცხადების რაოდენობა	12
მინიმალური საპროცენტო განაკვეთი	6.100
საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	6.806
მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი	7.480
კონკურენტული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასი	23,447,904.78
არაკონკურენტული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასი	43,912,149.52
კონკურენტულისა და არაკონკურენტულის შესყიდვის ფასების ჯამი	67,360,054.30

ხაზინის ერთიან ანგარიშზე 67360054.3 ლარი ჩაირიცხება 13.02.2014 წელს.

6 თვეში ერთხელ გადასახდელი კუპონის მოცულობა	2,290,478.00 ლარი
პირველი კუპონის გადახდის თარიღი	13/08/2014

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

დანართი 4

N 07-01/12848
28/02/2014

12848-07-01-2-201402281052

საქართველოს ეროვნული ბანკი

გიგზავნით შეტყობინებას 2014 წლის 5 მარტს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე განსათავსებელი სახაზინო ობლიგაციების ემისიის პარამეტრების შესახებ.

დანართი: „1" ფურცელი.

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს ეროვნულ ბანკს

შეტყობინება N8

"საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 2013 წლის 11 დეკემბრის N1726 საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N10/01-N51 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების" საფუძველზე, გთხოვთ, უზრუნველყოთ სახაზინო ობლიგაციების ემისია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე შემდეგი პირობებით:

- აუქციონის თარიღი - 2014 წლის 5 მარტი;
- ემისიის რეგისტრაციის ნომერი - GETC19306082;
- სახაზინო ობლიგაციების რაოდენობა - 60,000 ცალი;
- მთლიანი ემისიის მოცულობა - 60,000,000.00 (სამოცი მილიონი ლარი);

  მათ შორის:
- ძირითადი ემისიის მოცულობა - 10,000,000.00 (ათი მილიონი ლარი);
- „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულების შესაბამისად გამოსაშვები სახაზინო ობლიგაციების ემისიის მოცულობა - 50,000,000.00 (ორმოცდაათი მილიონი ლარი);
- ანგარიშსწორების თარიღი - 2014 წლის 6 მარტი;
- დაფარვის თარიღი - 2019 წლის 6 მარტი;
- კუპონის გადახდის თარიღები - 2014 წლის 6 სექტემბერი, 2015 წლის 6 მარტი, 2015 წლის 6 სექტემბერი, 2016 წლის 6 მარტი, 2016 წლის 6 სექტემბერი, 2017 წლის 6 მარტი, 2017 წლის 6 სექტემბერი, 2018 წლის 6 მარტი, 2018 წლის 6 სექტემბერი, 2019 წლის 6 მარტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
204862078

დავით ლეჟავა
ფინანსთა მინისტრის მოადგილე

საქართველოს ეროვნული ბანკის

დანართი 5

შეტყობინება N8

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო ობლიგაციის აუქციონის ჩატარების შესახებ

28 თებერვალი 2014 წელი

2014 წლის 5 მარტს შედგება სახაზინო ობლიგაციების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 60,000,000 (სამოცი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების 60,000 ცალი სახაზინო ობლიგაცია, მათ შორის:

- ძირითადი ემისიის მოცულობა - 10,000,000 (ათი მილიონი ლარი);
- დამატებითი ემისიის მოცულობა - 50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი ლარი), „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N 176 განკარგულების შესაბამისად;

ემისიის რეგისტრაციის ნომერია GETC19306082.

სახაზინო ობლიგაციების ვადიანობა შეადგენს 1826 დღეს, დაფარვა განხორციელდება 2019 წლის 6 მარტს.

ობლიგაციის კუპონის გადახდა განხორციელდება შემდეგ თარიღებში:
2014 წლის 6 სექტემბერი;
2015 წლის 6 მარტი;
2015 წლის 6 სექტემბერი;
2016 წლის 6 მარტი;
2016 წლის 6 სექტემბერი;
2017 წლის 6 მარტი;
2017 წლის 6 სექტემბერი;
2018 წლის 6 მარტი;
2018 წლის 6 სექტემბერი;
2019 წლის 6 მარტი;

აუქციონზე კომერციულმა ბანკებმა ელექტრონული განაცხადი უნდა წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს 2014 წლის 5 მარტს 11:45 საათიდან 12:00 საათამდე, ბლუმბერგის სისტემის მეშვეობით.

სახაზინო ობლიგაციების ანგარიშსწორება განხორციელდება 2014 წლის 6 მარტს.

აუქციონში მონაწილე პირებს შეუძლიათ გააკეთონ კონკურენტული და არა–კონკურენტული განაცხადები:

- კონკურენტული განაცხადის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.
- არაკონკურენტული განაცხადის მაქსიმალური ოდენობაა 20 000 (ოცი ათასი) ლარი.

- „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N 176 განკარგულებით შესაბამისად გამოსაშვები სახაზინო ობლიგაციების თითოეული ბანკის არაკონკურენტული განაცხადის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე განკარგულებით თითოეული ბანკის მიმართ დადგენილ ლიმიტებს.

აუქციონის შედეგები გამოქვეყნდება ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდებზე არაუგვიანეს 18:00 საათისა.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები გაცნობილი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ„ დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას.

საბაზრო ოპერაციების ჯგუფი

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

სანაპიროს ქ. 2, თბილისი, 0114
☎: 2-406-268 / 269 / 272 / 274 / 275

National Bank of Georgia

Announcement N8

Regarding the Auction of Treasury Notes of Ministry of Finance of Georgia

February 28, 2014

The Treasury Notes Auction will be held on March 5, 2014. 60,000 Treasury Notes with a total face value of GEL 60,000,000 (sixty million) will be sold at the auction, in which:

- Main issue volume equals to – GEL 10,000,000 (Ten million);
- Additional issue volume equals to – GEL 50,000,000 (Fifty million), in accordance to Decree #176 of Government of Georgia "On the Issue, Circulation, Registration and Redemption of Government Securities as to provide the economy with efficient facility to obtain long term resources" dated February 07, 2014;

The issue ISIN is GETC19306082.

The maturity of the Treasury Notes is 1826 days with a maturity date of March 6, 2019.

The coupon payment dates are as follows:

September 6, 2014
March 6, 2015
September 6, 2015
March 6, 2016
September 6, 2016
March 6, 2017
September 6, 2017
March 6, 2018
September 6, 2018
March 6, 2019

At the Auction, the Commercial Banks should submit bids to the National Bank of Georgia through Bloomberg trading system on March 5, 2014, from 11:45 to 12:00.

Settlements will be held on March 6, 2014.

The auction participants may submit competitive and non-competitive bids:

- The minimum bid amount for competitive bids is GEL 50,000 (fifty thousand).
- The maximum amount of non-competitive bids is GEL 20,000 (twenty thousand).
- In accordance to Decree #176 of Government of Georgia, dated February 07, 2014 "On the Issue, Circulation, Registration and Redemption of Government Securities as to provide the economy with efficient facility to obtain long term resources", non-competitive bids of each commercial bank should not exceed limits established for each commercial bank in mentioned Decree.
- The auction results will be published on web-sites of the National Bank of Georgia and the Ministry of Finance of Georgia, no later than 18:00 of the auction day.

The auction participants must be familiar with and accept the terms and conditions of the "Regulation On the Issue, Circulation, Registration and Redemption of Treasury Bills and Treasury Notes Issued by the Ministry of Finance of Georgia" and confess mandatory execution of this regulation.

Market Operations Group

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2, Sanapiro str., Tbilisi, 0114
☎: 2-406-268 / 269 / 272 / 274 / 275

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-04/685-14
05.03.2014

დანართი 6

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

სახაზინო ობლიგაციის
აუქციონის შედეგის თაობაზე

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ, 2014 წლის 5 მარტს ჩატარებული სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგებს.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ლალიაშვილი

ფინანსური ბაზრების
დეპარტამენტის უფროსი

0114 / თბილისი/ სანაპიროს 2 / ტელ: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail : info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

ემისიის რეგისტრაციის ნომერი	GETC19306082
კუპონის განაკვეთი	***10.073***
ემისია	პირველადი
აუქციონის თარიღი	05/03/2014
დაფარვის თარიღი	06/03/2019
ემისიის მოცულობა	60,000,000 ლარი
მთლიანი მოთხოვნა	59,917,000 ლარი
მათ შორის კლიენტების	0 ლარი
მთლიანი განაცხადების რაოდენობა	17
მათ შორის კლიენტების	0
მონაწილე ბანკების რაოდენობა	13
გამარჯვებული ბანკების რაოდენობა	13
შესყიდული კონკურენტული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა	8 500
მათ შორის კლიენტების მიერ შესყიდულის	0
გამარჯვებული კონკურენტული განაცხადების რაოდენობა	4
მათ შორის კლიენტების	0
შესყიდული არაკონკურენტული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა	43917
გამარჯვებული არაკონკურენტული განაცხადების რაოდენობა	12
მინიმალური საპროცენტო განაკვეთი	10.000
საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	10.073
მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი	10.720
კონკურენტული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასი	8,500,420.48
არაკონკურენტული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასი	43,917,000.00
კონკურენტულისა და არაკონკურენტულის შესყიდვის ფასების ჯამი	52,417,420.48

ხაზინის ერთიან ანგარიშზე 52417420.48 ლარი ჩაირიცხება 06.03.2014 წელს.

6 თვეში ერთხელ გადასახდელი კუპონის მოცულობა	2,639,982.22 ლარი
პირველი კუპონის გადახდის თარიღი	06/09/2014